



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე
უარის თქმის შესახებ

საქმე №28/6435-14

14 ნოემბერი, 2014 წელი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე – ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაძე, ნათია გუჯაბიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი - სს „ბ.“

წარმომადგენელი - მ. ბ.

მოწინააღმდეგე მხარე - ნ. გ.

განმცხადებლის მოთხოვნა - შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2010 წლის 29 ოქტომბრის №XXX-XXXX საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

სასამართლომ გა ა მ ო ა რ კ ვ ი ა

1. შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2010 წლის 29 ოქტომბრის №XXX-XXXX საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით სს „ტ.-ს“ საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
2. მოპასუხე ნ. გ.-ს (პირადი №XXXXXXXXXXXX, მის. ქ. რუსთავი, თ.-ს ქ. №XX, ბინა №X), მოსარჩელე ს/ს „ტ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2084.01 (ორი ათას ოთხმოცდაოთხი და 01) აშშ დოლარის გადახდა;
3. მოპასუხე ნ. გ.-ს (პირადი №XXXXXXXXXXXX, მის. ქ. რუსთავი, თ.-ს ქ. №XX, ბინა №X), მოსარჩელე ს/ს „ტ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა საარბიტრაჟო შენატანის სახით 200 (ორასი) ლარის გადახდა.

2014 წლის 4 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა სს „ბ.-ს“ წარმომადგენელმა მ. ბ.-მ და მოითხოვა შპს „სამოქალაქო საქმეთა



მუდმივმოქმედი არბიტრაჟის” 2010 წლის 29 ოქტომბრის №XXX-XXXX გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება

სააპელაციო პალატა წარმოდგენილი განცხადებისა და საარბიტრაჟო საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ განცხადებას უარი უნდა ეთქვას ცნობასა და აღსრულებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²³-ე მუხლის თანახმად, სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარს განაცხადებს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით – იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია სს „ტ.-ს“ და ნ. გ.-ს შორის 2008 წლის 12 თებერვალს დადებული საკრედიტო ხელშეკრულება №XXXXXXXXXX, რომელიც ხელმოწერელია მხოლოდ სს „ტ.-ს“ წარმომადგენლის მიერ, ხოლო საარბიტრაჟო მოპასუხე ნ. გ.-ს ხელმოწერა ხელშეკრულების არცერთ გვერდზე არ ფიქსირდება. აღნიშნული კი საფუძველია სს „პ.-სათვის“ შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2010 წლის 29 ოქტომბრის №XXX-XXXX გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმისათვის.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 356²³-ე მუხლებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა

1. სს „პ.-ს“ უარი ეთქვას მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2010 წლის 29 ოქტომბრის #XXX-XXXX გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე;
2. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები ნატალია ნაზლაიძე

ნათია გუჯაბიძე